



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება №38

23 მარტი 2018 წ.
ქ. თელავი

„თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების)
გადასახდის შემოდების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოდების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში ([http://www.matsne.gov.ge,29.01.2018,
010250050.35.163.016386](http://www.matsne.gov.ge,29.01.2018,010250050.35.163.016386)):

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის
განაკვეთები“ მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის ქონების
გადასახადის წლიური განაკვეთი მიწის ერთ კვ.მ-ზე განისაზღვრება მიწის ნაკვეთის
ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გადასახადის საბაზისო განაკვეთის, რომელიც ერთ
კვადრატულ მეტრზე შეადგენს 0,24, ლარს/ შესაბამის ტერიტორიულ კოეფიციენტზე
გადამრავლებით, რომელიც შეადგენს:

- ა) ქალაქ თელავის ცენტრალურ ზონაში- 1.3;
- ბ) ქალაქ თელავის შუალედურ ზონაში- 1.0;
- გ) ქალაქ თელავის პერიფერიულ ზონაში- 0.7;
- დ) თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში - 0.7;

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები“ მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7

მიწაზე ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე